ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–78
(გაერთიანებული, განათლებისა და კულტურის კომისიასთან)

ქ. თბილისი; 9 თებერვალი; 2021 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - **ვალერი ჭიღლაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - **კახაბერ გულედანი.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი - **ირაკლი გვილავა.**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

3. ,,ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29),(ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006)არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ 204460957) და შპს ,,ალმას" (ს/ნ204873388) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45(ს/კ N01.13.06.010.019)და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის N69 (ს/კ N01.17.13.038.024) არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - **ვალერი ჭიღლაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - **კახაბერ გულედანი** წარუდგინა და წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

ვალერი ჭიღლაძემ, ისაუბრა კახაბერ გულედანის ბიოგრაფიაზე, საქმიან გამოცდილებაზე და განმარტა, რომ ბატონ კახაბერს გააჩნია კერძო და საჯარო სექტორში მუშაობის დიდი სტაჟი, მათ შორის მენეჯერულ პოზიციებზე, იგი გახლდათ რამდენიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

მერიის ადმინისტრაციის უფროსმა განმარტა, რომ ახლო წარსულში კახაბერ გულედანი იკავებდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას, ასევე იყო სამგორის რაიონის გამგებელი.

ვალერი ჭიღლაძის თქმით, კახაბერ გულედანს აქვს უდიდესი გამოცდილება და იგი არის მისი საქმის პროფესიონალი.

დასასრულს, **ბატონმა ვალერიმ** დასძინა, რომ კახაბერ გულედანის საქმიანი და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, თბილისის მერმა წარმოადგინა მისი კანდიდატურა, ქ. მუნიციპალურ ინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად, თბილისის მუნიციპალტეტის საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

აზრი გამოთქვეს:

იურდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, დააფიქსირა თავისი პოზიცია. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კარგად იცნობს ბატონი კახაბერის პიროვნულ თვისებებს და იცის მისი პროფესიონალიზმის შესახებ. მანვე, წარმატება უსურვა ბატონ გულედანს მეტად საპასუხისმგებლო და რთულ პოზიციაზე და მხარდაჭერა აღუთქვა ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხთან და პრობლემასთან მიმართებაში, რომელიც დედაქალაქის კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული.

გაერთიანებული კომისიების სხდომაზე დამსწრე წევრებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს კახაბერ გულედანის კანდიდატურას და წარმატება უსურვეს მას მომავალ საქმიანობაში.

ლევან ჟორჟოლიანმა, განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა, **ირაკლი გვილავამ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა ისაუბრა დამტკიცებული წესებისგან განსხვავებით, წარმოდგენილ დასამტკიცებელ წესებში არსებულ მნიშვნელოვან და ძირითად ცვლილებებზე.

როგორც ირაკლი გვილავამ განაცხადა, წესის მოქმედი რედაქცია განსაზღვრავდა მხოლოდ „უნივერსიტეტი"-ს მნიშვნელობას. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით კი ემატება „სასწავლო უნივერსიტეტი", შესაბამისად, ჩამონათვალს ემატება, **„სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი".**

ირაკლი გვილავამ ასევე ისაუბრა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის **„სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა"** ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესში განსახორციელებელ სხვა ცვლილებებზე, რომლის მიხედვით, იცვლება რეგისტრაციის ვადები და სამთვიანი ვადა იზრდება ექვს თვემდე, შესაბამისად, სტუდენტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმატებული სტუდენტების სიის წარდგენის მომენტისთვის **ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებული უნდა იყოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,** რათა არ მოხდეს პირის ხელოვნურად რეგისტრაცია მხოლოდ სტიპენდიის მიღების მიზნით. აღნიშნულ პუნქტს ემატა კიდევ ერთი კრიტერიუმი, საქართველოს მოქალაქეობა.

საკითხის წარმოდგენმა იქვე დასძინა, რომ ახალი რედაქციით, დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას ემატება:

- ✓ განცხადება თანხის მოთხოვნის შესახებ;
- ✓ საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
- ✓ დევნილის შემთხვევაში, დოკუმენტი დროებითი რეგისტრაციის ადგილის შესახებ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან.
- ✓ უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო რეკვიზიტები; ამასთან, წარმატებულ სტუდენტს დაფინანსება შესაძლოა გადაერიცხოს, როგორც პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე, ასევე მითითების შემთხვევაში უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე - სწავლის საფასურის დაფარვის მიზნით. დაფინანსება ერთ წარმატებულ სტუდენტზე სემესტრში შეადგენს 562.50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

თბილისის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების ნაწილში, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, სარეიტინგო ქულა, რომელიც განსაზღვრული იყო 70 ათასით და ქვევით, 150 ათასამდე გაიზარდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით, კიდევ უფრო მეტი სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდა გახდება შესაძლებელი, რისთვისაც დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 მლნ 300 ათასი ლარია გამოყოფილი.

საკითხის წარმოდგენისას ირაკლი გვილავამ ასევე განმარტა, რომ ცვლილებების მიხედვით, დაფინანსება გარდა 100%, 70 % და 50%-ისა, ასევე გაიცემა 30%-ის ოდენობით. სოციალურად დაუცველი სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება არის ფრიადი, ხოლო სარეიტინგო ქულა არის 150 000-ის ტოლი ან ნაკლები, უფინანსდება სემესტრული თანხის 100%, წინა სემესტრში მიღებული შეფასებების და აკადემიური ქულების საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება არის 71-90 ქულა და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, უფინანსდება სემესტრული თანხის 100%, ხოლო სემესტრული თანხის 70%, იმ შემთხვევაში, თუ სარეიტინგო ქულა არის 70 000-ზე მეტი და 150 000-ზე ნაკლები ან 150 000-ის ტოლი. სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება არის 51-70 ქულა და სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 150 000 -ის,დაუფინანსდება სემესტრული თანხის 50%. მისივე თქმით, სამივე შემთხვევაში დაფინანსება შეადგენს, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს **2250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარს**, ხოლო ერთი სემესტრის განმავლობაში არაუმეტეს **1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარს.**

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ პროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის ბიუჯეტიდან და დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. მისივე თქმით, წარმოდგენილი პროექტის მიღება ძალადაკარგულად აცხადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2017 წლის 24 თებერვლის № 3-11**

დადგენილებას.

აზრი გამოთქვეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **მარიკა დარჩია** დაინტერესდა იმ საინფორმაციო კამპანიის შესახებ, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას აღნიშნული პროგრამის შესახებ.

ირაკლი გვილავამ უპასუხა ქალბატონ მარიკას და აღნიშნა, რომ იმთავითვე, აღნიშნული ინიციატივის დამუშავებაში ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად ჩართულები იყვნენ ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. მისივე თქმით, პროექტის დამტკიცების შემდგომ მოხდება აღნიშნული ინფორმაციის გადაგზავნა შესაბამის უნივერსიტეტებში. ამასთან, მერიის მხრიდან გამართულ საინფორმაციო კამპანიაში მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტების ფაკულტეტების ხელმძღვანელი პირები.

ფრაქციის „თბილისი" წევრმა - ვაჟა ოთარაშვილმა გამოხატა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1 მლნ 300 ათასი ლარი არ არის საკმარისი აღნიშნული პროგრამისათვის, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც 2020 წელს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფინანსება 4 (ოთხი) მილიონს აჭარბებს.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ - თინათინ ნიბლოშვილმა უპასუხა დაინტერესებულ პირს და განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია მხოლოდ ცხრა უნივერსიტეტი. მისივე თქმით, აღნიშნულ უნივერსიტეტებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებისათვის 1 მლნ 300 ათასი ლარი საკმარისია და სრულიად შესაბამისია აღნიშნული პროგრამისათვის ამ ეტაპზე.

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ დაახლოებით ზაფხულის დასაწყისისთვის არის დაგეგმილი გადახედვა საბიუჯეტო მოცემულობისთვის და საჭიროების შემთხვევაში მოხდება დამატებითი თანხების მობილიზება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ დადგენილების პროექტის მეორე მუხლში სწორი ფორმით მიეთითოს ამავე მუხლში მოხსენიებული დადგენილების სათაური. ამასთან პროექტის დანართი 2 - ის მუხლი 6 - ის მეექვსე პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში უნდა მიეთითოს სემესტრული თანხის 30% - ით დაფინანსების პირობები. ასევე, დადგენილების პროექტის დანართი 1 - ის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის შემდგომი პუნქტის აღმნიშვნელი ციფრი უნდა შეიცვალოს ციფრ 2 - ით.

კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **„ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29),(ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ალმას“ (ს/ნ204873388) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45(ს/კ N01.13.06.010.019) და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის N69 (ს/კ N01.17.13.038.024) არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლით განსაზღვრული საკითხი, რაც ადგენს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას განსაზღვროს დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მომხსენებლის თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ (შემდგომში- კომისია) 2021 წლის 8 თებერვლის სხდომაზე განიხილა განმცხადებლების მიერ

წარმოდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია. **საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ამავე **კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე,** შემდეგ მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. #10, (ს/კ N01.13.02.005.006);

ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული) მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები შემდეგ მისამართებზე (მიწის ნაკვეთებზე):**

ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112)

ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115)

ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029)

ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007)

ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე (გარდა ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, ხოლო იმისთვის, **რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო -სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სი ემ სი“-სა (ს/კ 205292486) და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“** , შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ აფილირებულ კომპანიებს **შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება** (2020 წლის 29 იანვარი; 2020 წლის 20 ოქტომბერი - ცვლილების ხელშეკრულება); ცვლილების ხელშეკრულების მიხედვით, შპს „სიემსი“ შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,სი ემ სი"-მ მოამზადა ზემოთწარმოდგენილ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა.

როგორც ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, **იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყება, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება, რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილი განაცხადითა და საპროექტო წინადადებით, შპს ,,ალმა" (ს/ნ 204873388) გამოთქვამს მზაობას, განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით და ითხოვა მის საკუთრებში არსებულ - ა) ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45-ში არსებული მიწის ნაკვეთსა (ს/კ N01.13.06.010.019; ფართობი -4311 კვ.მ.; და ბ) ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ N01.17.13.038.024; ფართობი - 3689ნკვ.მ) მიწის ნაკვეთზე გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **შპს ,,ალმას" (ს/ნ 204873388) საკუთრებაში არსებულ - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.13.06.010.019; ფართობი -4311 კვ.მ.)** დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად, ვრცელდება მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-1) - **მიწის ნაკვეთის ნაწილზე (2610 კვ.მ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), (კ-1) - 0.5*0.7; მიწის ნაკვეთის ნაწილზე (1701 კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ 6), (კ-1) - 0.5;** მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტი (კ-2); მიწის ნაკვეთის ნაწილზე (2610 კვ.მ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), (კ-2)-4.6; მიწის ნაკვეთის ნაწილზე (1701 კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ6), (კ-2) - 2.5;** მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0.1.

მომხსენებლის თქმით ასევე შპს „ალმას" საკუთრებაში არსებულ - **ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.17.13.038.024, ფართობი - 3689 კვ.მ.)** მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტია- **(კ-1) - 0.7;** მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტი (კ-2) – 4.6;** მიწის ნაკვეთის გამწვანების **კოეფიციენტი (კ-3) – 0.2.**

როგორც მომხსენებლემა აღნიშნა, შპს ,,ალმა" გეგმავს აღნიშნულ მისამართებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, შესაბამისად **შპს ,,ალმა" ითხოვდა:**

მისამართზე - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45 (ს/კ N01.13.06.010.019):

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტის გადამეტებას - კ-2 – 3.7 - დან 9.0-მდე;**
- მიწის ნაკვეთის ინტენსივობის **კოეფიციენტის (კ-1) განსაზღვრას 0.7-ით;**
- მიწის ნაკვეთის **გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) განსაზღვრას 0.1-ით;**

- საზოგადოებრივი სივრცის წილის განსაზღვრას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არანაკლებ 10%-ისა და არაუმეტეს 25%-ით;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ფარგლებში: შენობების სიმაღლის და ავტოსადგომების განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები (ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 150-ით);
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სატრანსპორტო კვლევის გარეშე;

მომხსენებლის თქმით, მისამართზე - **ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ N01.17.13.038.024) შპს „ალმა" ითხოვდა:**

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტის გადამეტებას - კ-2 – 4.6 - დან 9.0-მდე;**
- განაშენიანების ფართი **კ-1 - 0.7-ით განსაზღვრას** (რაც არსებულ საპროექტო ზონას დადგენილი აქვს, მაგრამ საცხოვრებლის შემთხვევაში ხდება 0.5;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიცინეტის **(კ-3) განსაზღვრას 0.1-ით;**
- საზოგადოებრივი სივრცის წილის განსაზღვრას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არანაკლებ 10%-ით და არაუმეტეს 25%-ით;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების ფარგლებში: შენობების სიმაღლის და ავტოსადგომების განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები კერძოდ, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 120-ით;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სატრანსპორტო კვლევის გარეშე;

ლევან ჟორრჟოლიანმა აღნიშნა, რომ **საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვით:**

- მისამართზე - ქ. თბილისი, **წერეთლის გამზ. N45-ში** არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.13.06.010.019) **მთლიანი საბაზრო ღირებულება - 2021 წლის 21 იანვრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2 789 217 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,2982) შეადგენს 9 199 396 ლარს;**

- მისამართზე - **ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის N69-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.17.13.038.024) მთლიანი საბაზრო ღირებულება - 2021 წლის 21 იანვრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 969 926 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,2982) შეადგენს 6 497 210 ლარს;**

მომხსენებლის განმარტებით, შპს „ალმა" კომისიისადმი წარდგენილ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს ,,ალმას"-ს საპროექტო წინადადებებს განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს მისამართებზე - შარტავასქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 19 392 235 ლარის ოდენობით;

ლევან ჟორჟოლიანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას შპს ,,ალმა" გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული თანხა გადაიხადოს მშენებლობის ნებართვების აღებამდე, მოთხოვნისამებრ.

მოხსენებელმა ისაუბრა, რომ როგორც კომისიამ 2021 წლის 8 თებერვლის სხდომაზე აღნიშნა, **იმის გათვალისწინებით, რომ:**

შპს ,,ცენტრპოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაშიმ იუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო;

მისამართებზე - შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო;

მისამართებზე - შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), პეტრე იბერისქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ .ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N 01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006) სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო

სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

ა) მისამართებზე - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45 (ს/კ N01.13.06.010.019) და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ N01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები განხილულ იქნას, როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;

ბ) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით:

$$X = \frac{L}{K2}(K2^1 - K2)S$$

სადაც:

ა) X არის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა;

ბ) L არის 1კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი*;

გ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

დ) $K2^1$ არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.

*მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი დგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, აშშ დოლარში წარმოდგენილი საბაზრო ფასის ეკვივალენტი ლარში, კომისიის სხდომის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გ) ვინაიდან, მისამართზე - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45 - არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.13.06.010.019) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა - სსზ-2 (2610 კვ.მ) და საცხოვრებელი ზონა 6 - სზ-6 (1701 კვ.მ) და აღნიშნული ზონების გათვალისწინებით არის შეფასებული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიუროს მიერ (დასკვნა N 000340221), ფინანსური მხარდაჭერის დაანგარიშებისას, მიზანშწონილია საშუალო შეწონილ კოეფიციენტად (კ-2) განისაზღვროს 3.7.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ლევან ჟორჟოლიანის თქმით ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ (ს/კ204460957) და შპს „ალმას“ (ს/ნ 204873388), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში,მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N45 (ს/კ N01.13.06.010.019) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში:

ა.ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) – 3.7 - დან 9.0-მდე;

ა.ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 150-ით;

ა.გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში საზოგადოებრივი სივრცის წილი განისაზღვროს არანაკლებ 10% და არაუმეტეს 25%-ით;

ა.დ) მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0.7-ით, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს 0.1-ით;

ა.ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების გარეშე;

ა.ვ) შპს „ალმა“-მ (ს/ნ 204873388) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 3 995 365 (სამი მილიონ ცხრაასოთხმოცდათხუთმეტი ათას სამასსამოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით

გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი“ (ს/კ: 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-სდაშპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის **2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;**

ა.ზ) შპს ,,ალმამ“ (ს/ნ 204873388) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ა.თ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა.ვ“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

ბ) მისამართზე - **ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 (ს/კ N01.17.13.038.024) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში:**

ბ.ა) მოხდეს მ იწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ 2) – **4.6 - დან 9.0-მდე;**

ბ.ბ) კორექტირებული არქიტექტურული **პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები, ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს 120-ით;**

ბ.გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში **საზოგადოებრივი სივრცის წილი განისაზღვროს არანაკლებ 10% დაარაუმეტეს 25%-ით;**

ბ.დ) მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი **(კ-1) განისაზღვროს 0.7-ით,** მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი **(კ-3) განისაზღვროს 0.1-ით;**

ბ.ე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების გარეშე;

ბ.ვ) **შპს ,,ალმა“ (ს/ნ 204873388) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 1 884 277**

(ერთი მილიონ რვაასოთხმოცდაოთხი ათას ორას სამოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადარიცხვა განახორციელოს, გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი" (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი" (ს/კ: 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი" (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები" (ს/კ: 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს" (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი" (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

ბ.ზ) შპს ,,ალმამ" (ს/ნ 204873388) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხისნგადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ბ.თ) განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.ვ" და „ბ.ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „თბილისი" წევრმა - ვაჟა ოთარაშვილმა გამოხატა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ სეისმოლოგიური თვალსაზრისით დედაქალაქი და ზოგადად საქართველო მიწისძვრებისადმი მიდრეკილი ქალაქი/რეგიონი/ქვეყანაა შესაბამისად მაღალი შენობების აშენება დაუშვებელია, მისივე აღნიშვნით მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სწორედ ამ მიზნით სამშენებლო ნებართვები მაქსიმუმ 4 სართულამდე გაიცემა.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნულის პასუხად განმარტა, რომ დედაქალაქის მასშტაბით სწორედ იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლების მიზანი იყო ქაოტური მშენებლობის თავიდა აცილება და სწორი ურბანული განაშენიანების ჩამოყალიბება აიკრძალა k2 კოეფიციენტის გაყიდვა, მოცემულ შემთხვევაში კი ხორციელდება მხოლოდ ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში კოეფიციეტის მატება იმისთვის, რომ წლების განმავლობაში დაუსრულებელი მშენებლობებით დაზარალებული მოსახლეობა დაკმაყოფლდეს და მიეცეთ საშუალება, ნორმალურ საცხოვრებელ პირობებში მოექცნენ. ასევე ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ არცერთ შემთხვევაში ასეთ შენობებზე არ დაშვებულა გამონაკლისი უსაფრთხოების ნორმების დარღვევასთან/არ გავრცელებასთან დაკავშირებით. ლევან

ჟორჟოლიანის თქმით აღნიშნული გადაწყვეტილებით დედაქალაქში შემცირდება დაუსრულებელი მშენებლობები და მათგან გამოწვეული საფრთხეები, შესაბამისად დედაქალაქის იერსახეც გაუმჯობესდება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია ტექნიკურად გაიმართოს და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და ასევე პროექტის პირველი მუხლის „ბ" პუნქტის „ბ.ვ" ქვეპუნქტი.

ბატონმა ლევანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების პრეამბულაში მოხსენიებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის განკარგულების სათაურში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	ნინო ჯალაღანია